

**Where is the Solution in Case of Moral Degradation
According to Guram Dochanashvili's Novel
"Boulder on Which Once there was a Church"**

სად არის გამოსავალი ზნეობრივი დეგრადაციის დროს
გურამ დოჩანაშვილის რომანის „ლოდი, ნასაყდრალის“
მიხედვით

Eka Chkheidze
Shota Rustaveli institute of Georgian Literature
(Georgia)

ეკა ჩხეიძე
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(საქართველო)

Abstract:

Guram Dochanashvili's novel "Boulder on Which Once there was a Church" expresses the moral degeneration and spiritual crisis of post-Soviet Georgia in the 90s, which is opposed by the eternal ideals and the phenomenon of faith reflected in art.

The novel presents an inner monologue of one person, unworthy (author alter ego). This reality is tragic, because the works depict people desperate for the brutality of the civil war, and the question "Where did it all begin" is constantly heard and repeated like refrain "Where is salvation?"

In order to escape from the devaluation of spiritual values and to save the nation, according to this book, it is necessary to return to eternal values. Only a material welfare society is doomed to degeneration, and the only solution is to return to the Christian faith, which implies the establishment of moral ideals and moral purity.

One of the best parts of the novel is the postmodern texts created as a result of the use of artistic forms of Georgian oral tradition. The whole work is a combination of texts of different genres: it is a peculiar collection of essays, notes and small novels or memoirs written about distinguished writers and musicians.

All of this is perceived as an attempt by a person in a tragic post-Soviet environment to escape the unacceptable, soul-destroying reality and find spiritual peace in the eternal realm of beauty and the Christian faith.

Keywords: Guram Dochanashvili, Postmodern, Civil war, Post-Soviet writers, Musicians

საკვანძო სიტყვები: გურამ დოჩანაშვილი, პოსტმოდერნიზმი, სამოქალაქო ომი, პოსტსაბჭოთა მწერლები, მუსიკოსები

გურამ დოჩანაშვილის რომანში „ლოდი, ნასაყდრალი“ გამოხატულია 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა საქართველოს ზნეობრივი გადაგვარება და სულიერი კრიზისი, რასაც უპირისპირდება ხელოვნებაში ასახული მარადიული იდეალები და რწმენის ფენომენი.

რომანში გადმოცემულია ერთი პიროვნების, უღირსის (ავტორის ალტერ ეგო), შინაგანი მონოლოგი. რეალობა ტრაგიკულია, რადგან თხზულებაში დახატულია სამოქალაქო ომის სისასტიკით თავზარდაცემული ადამიანები, და მუდმივად ისმის კითხვა: „საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?“ და რეფრენივით მეორდება – „სად არის ხსნა?“

სულიერი ფასეულობების დევალვაციისაგან თავის დასაღწევად და ერის გადასარჩენად, ამ წიგნის მიხედვით, საჭიროა მიბრუნება მარადიული ღირებულებებისაკენ. მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული საზოგადოება გადაგვარებისათვის არის განწირული.

მთელი ნაწარმოები წარმოადგენს სხვადასხვა ჟანრის ტექსტების ერთობლიობას: ეს არის გამორჩეული მწერლებისა და მუსიკოსების შესახებ დაწერილი ესეების, ჩანაწერებისა და პატარა ნოველებისა თუ მოგონებების თავისებური კრებული, აღსანიშნავია, რომ რომანის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილი ქართული ზეპირსიტყვიერების მხატვრული სახეების გამოყენების შედეგად შექმნილი პოსტმოდერნული ტექსტებია. და ისევე, როგორც ზოგადად ახასიათებს პოსტმოდერნიზმს, ამ რომანშიც ეს ტექსტები ახალი მნიშვნელობის მხატვრულ რეალობას ჰქმნის, სადაც ერთი და იგივე პერსონაჟი ტრადიციულ შინაარსთან

ერთად სრულიად განსხვავებულ დანიშნულებას იძენს. სხვადასხვა ფოლკლორული პასაჟის გამოყენებით მწერალი აგებს ახალ მხატვრულ რეალობას, რომელიც, ავტორის აზრით, ააშკარავებს ქართველი ერის ჭეშმარიტ ბუნებას და უპირისპირდება ზნეობრიობისაგან დაცლილ, მხოლოდ ეგოისტურ მისწრაფებებზე ორიენტირებულ საზოგადოებას. გურამ დოჩანაშვილის აზრით, მუდმივ კინკლაობასა და დაპირისპირებაში გართულმა და გაწაფულმა ქართველმა ერმა დაივიწყა საკრალურ ტექსტებსა და ხალხურ პოეზიაში გამოხატული მარადიული ღირებულებები, ზნეობრივი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად კი თავის კულტურასა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს უნდა დაუბრუნდეს. სულიერი კრიზისის ფონი რომანში გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის გაუხარელი და უნუგემო ყოფაა, რომელსაც ავტორი ასე ხატავს:

„...მაგრამ ყველაზე მძიმედ ასატანი, თბილისისათვის, 1990 წლის მიწურულიდან მოყოლებული, მაინც 1994 წლის დეკემბერი იყო... იმ დეკემბრის თვეში საბოლოოდ შეწყდა გაზი და შუქიც გამორთეს. ლიფტს, ტელევიზორს, ტროლეიბუსს და ამდაგვარს ფუფუნებას ვილა დაეძებდა, გინდაც სიცივეს შეფუთვნილიყვნენ. მაგრამ არ მუშაობდა ტელეფონი, ახლობელი თანამისჯილისთვის ხმა რომ გაგეცა, და არც რადიო, გინდაც სხვადასხვა ჟანრ-სახეობის ცოტა-მართალი-ბევრი ტყუილისთვის ცოტათი მაინც რომ გადაგეყოლებინა გული, უშუქობაში ბოდიალსაც – უღირსს, მაგალითად ერთმა კეთილმა ახლობელმა ნავთის პატარა ლამპა აჩუქა, მაგრამ ვაი მას, ვისაც ამდაგვარ შუქზე კითხვისას ხუთიოდ წუთში სიმწრის უნებური ცრემლები სდიოდა, და ვუი მას, ვისაც მხოლოდ დიდ-დიდი ხუთი საათით შეეძლო ძილი, იმეებს უფრო ხანგრძლივი სიბნელე ჰქონდათ, თექვსმეტსაათიანი ღამე იდგა დეკემბრის თვეში. კუშტი სიბნელე – უწიგნური, თვალისმიერი უმეცრება ისადგურებდა“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 90).

და ასე იჯდა საბანშემოხვეული ღამდამოებით „საბნისტყაოსანი“ უღირსი, ვერ წერდა, ვერ კითხულობდა: „*აღვიჭურვენით ისე, რაც კი რამ გვქონდა, სუყველაფერი სულ ზედ და ირგვლივ გვეცვა და გვეცვა, ვერას დაგვაკლებდა, რამე ყოფილიყო, ხმალი ტამერლანისა*“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 91).

უაღრესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მწერალი მისთვის ჩვეული იუმორით მოგვითხრობს:

„ხალხი როგორ პოულობდა გამოსავალს, ორ აგურს, იმის ნაცვლად რომ თავში რიგრიგობით ერტყათ, უკეთესი გამოსავალი მოუძებნეს – სადარბაზოებში, დაუმთავრებელ ლოჯიებსა თუ ეზოებში შვეულად, ანუ სიმაღლეზე დებდნენ, ორიც ბრტყელი თუ მრგვალი რამ რკინით აკავშირებდნენ, და მცირეკოლუმბურად თუ მარკოპოლურად სადმე შორს მოძიებულ ხეულფიცრულს უნთებდნენ რაიმე სახეობის საჭმლისთვის და, ასე გაგვიხდა მთელი ოცდლიან-გაბმულად საყოველთაო ჭიაკოკონური ჩვენი კოპწია დედაქალაქი თბილისი ჩვენი, თბილი-სიკიდევ როგორ ერქვა, ნაგავისი და ცივისი გახდა, სიტყვიერი ეშხით ვიხუმროთ, კი სახუმაროდ გვაქვს ახლაც სწორედ საქმე, მაგრამ, იმედად, ერთი ეგ იყო, 1991-დანაც კი მოყოლებული, ქალაქის ცვლია რეფორმატულ-თავკაცებმა, თავად დიადაც სავსებით სრულად გადატანითი მნიშვნელობით დაპურებულმა თავთავ-კაცებმა, ერთი ეგ იყო რომ მზეს ვერ მოუხერხეს სულ ვერაფერი – თვით ზამთარშიც კი, თუმცა მცირე ხნით, ამოდიოდა მაინც, და ანათებდა გინდ ღრუბლებიდან, მაგრამ, ჩადიოდაც და, ბნელში ვისხედით“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 91).

„ფიქრები სიბნელეში“ – ასე დაასათაურა ავტორმა რომანის მე-11-მე-12 თავები, სადაც გვიხატავს ლენინის, სტალინის, ხრუშოვის და კომუნისტური პარტიის სხვა ლიდერების სახეებს.

მთავარი მიზეზი, უღირსის აზრით, ქართველთა შემგუებლური ბუნება იყო:

„იმ წყეულ სამოცდაათ წელიწადს ასე თუ ისე არხეინადაც კი ვიყავით შეგუებულები. ტაშტაშ ბრეჟნევი, ცეკას გენერალური კლოუნი, ტურადორი, ბნელ-ხეპრე, წოდებებისა და ზნაჩოკების მსუნაგი, თანაც ბლუ... ბრეჟნევის შემდეგ მოვიდა იმისი პარტიულად მმართველი და იმასთან ფიცვერცხლ და სხვათა მშჟამელნაჟამი ანდროპოვი ი. ვ., ყოფილი მართლა ტელეგრაფისტი, თანაც ორმხრივად – მერე და მერე, და ვინ ცრუმა და შურიანმა თქვა რომ, პარტიული ამხანაგობა არ არსებობსო, – სულ ჩქარა ისიც მოკვდა, წაიღო ტელეგრამა, და ვიღაცა ისევ ხომ უნდა ჰყოფილიყო პირველი და სულ ჰქმენა-ჰქმენით ჩა-

მოდგა სათავეში იმათი ძმათნაფიციც ჩერნენკო (ინიციალები აღარ გვახსოვს, ჰოი სირცხვილო და თავისმოჭრავ), და რომელ-მა ცრუმვე და ახლომხედველმა და შურიანმა თქვა, რომ პარტიული ამხანაგობა-სამაიობა არ არსებობდა, როგორ არ არსებობდა და ბრძოლის ველზე რა იყო მაღალ პალატში შეიქმნა ყოვლად უქშინელი დასტურ, და სად იყო და სად არა, მოვიდა მერე გორბაჩოვი, მეუღლიანა, არა, ლიანა რა შუაშია. არამედ რაისიანა, მოვიდა... არაყ თუმც არ სომდა, ყველაფერი არია, დარია, ყველაფერი და დაკრა ფეხი და წავიდა მერე ლექციების საკითხად მტერმოყვარულ უცხოეთში“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 98).

ავტორის მსჯელობა თავისუფლების შესახებ განსაკუთრებულად საინტერესოა:

„...როდესაც უცნაური ეგრეთწოდებული თავისუფლება მოგვეხვია, განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი მანამდელი შეგუების ფარულმა წყლულებმა, ანუ როცა იქნებოდა, თვალისაგან ერთხანს არიდებულმა, მაგრამ საბოლოოდ ერთხანს ვითომც შესისხლხორცებულმა ნაიარევებმა და ტლანქმა დამლებმა, და ბევრწლიანი შეგუებული ცოდვებისათვის განკითხვამ სწორედ მზამზარეული ვითომცი თავისუფლების დროს გვიწია. ამღვრეულ წყალში განსაკუთრებით იჩინეს თავი ცრუ პატრიოტებმა, ცრუ დისიდენტებმა, ცრუ ბიზნესმენებმა, მერე და მერე ჩარჩებმა, ქურდებმა, ავაზაკებმა, მლიქვნელებმა, ბანდიტებმა“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 130).

რომანში ხშირად გამოყენებულია პარალელური სიუჟეტური ხაზები, რეალური და წარმოსახვითი სამყაროების დაპირისპირება, ალეგორიულ-სიმბოლური სახეები და ასოციაციური ხატები, მხატვრული დრო-სივრცის პირობითობის შეგრძნება, სასტიკი რეალობიდან თავდაღწევის ან მისი შეცვლის გზების ძიება. დორეს პერსონაჟის პირით გადმოცემულია სიზმარი, რომელშიც პაროდირებულია საქართველოს პარლამენტში შექმნილი სიტუაცია:

„– რამ დამასიზმრა მაინც მე ეს, მე მართლა ამ ცალპარლამენტარ-ოხერს... არადა, ვითომც, ვიდექი კაფედრაზედ, და გავიძახოდი რომ გაპიპინებულობამდე ძალიანური და შეგნებულად

მიყვარს სამშობლო, ჩემი ამაყად დამოუკიდებელი დახმარებებიანი რესპუბლიკა, და მისი თვალწარმტაცი შემოგარენი, და მისი მიწა-წყლის ყოველი მტკაველი და ცაზურმუხტ-გოჯი, და თუკი ვინმე აუგს იტყოდა რაიმეულს თუნდაც მის ერთ მინდვრის ღიღილოზე, მაშინ მას ჩემთან, სამშობლოსათვის მძვინვარესთან ექნებოდა პირადული და ანკეტური სახიფათო საქმე თავის წარსულ დოკუმენტიანადაც, და ისეთ დღეს ვაყრიდი, რომ მტერსაც თუ გაეცინებოდა, თუმცა... მტერს ისედაც კი ეცინება სინამდვილეში, მაგრამ პარლამენტი მაინც სხვაა, დისპუტობრივი. და მე მივმართავდი დიდ-პატარას, კაცსაც და ქალსაც, აემ ორთავე დაფიქსირებულ სქესს, და საშუალოებსაც, რომ რესპუბლიკა, მთაგორიანი თეთრი მანდილი, მშობლის გულ-მკერდი, არ გაიცვლების სხვაზედა, და მისი წრფელი აკაციები, ხოლო დარბაზი თავთავის ალაგ – დუმდა, და მიკროფონთან თავიანთსაც სათავგამომჩენო ჯერს სულმოუთმენლად უცდიდნენ... რადგან ჩვენ ყველას ისე და ასე ძალიან გვინდა რომ დღევანდელურად ვასახელოთ ასეთი თუ ისეთი თავი, ხოლო მოგეხსენება, განსაკუთრებულ პატრიოტებს ყველა დროში რომ ერიდებიან, ხოლო როდესაც მე ჩემს მიკროფონს, კაფედრალურს, აღტკინებისაგან სილაც გავაწანი, პატივისცემით აღივსო ყველა... იქუხა ტაშმაც... – შემირცხვა თავი!“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 101).

ამაზე წერა ავტორისთვის მძიმეა, ძნელია, აუტანელიც კია:

„მაგრამ გვეყო ამ თახსირებზე, თახსირივ პროზა... აი, ასეთი ფიქრ-ღრიანცელი, თან გამძაფრებული და თანაც ცუდლუტური და ცელქი, ხან უპასუხისმგებლობამდე ანგარიშმიუცემელი, გესლიანი და ამიტომ ყოვლად მიუღებელი, უიმედო და ხანაც პირიქით, გორგასლიანი, და პირველიმედ-აღმაშენებლიანი ფიქრები იცოდა მწარე სიცივემ ბნელში, ყველაზე ხშირად კი, როდის დაიწყო ეს ყველაფერი...

როდის დაიწყო“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 101).

სრულიად ბუნებრივად ერწყმის რომანში დავით გურამიშვილის სტროფების ციტირება:

*„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი!
იფელი ღვარძლად გადაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი!“*
(დოჩანაშვილი, 2002, გვ. 105)

„მართლაც არეულობასა და მრავლისყაყანში ძნელადღა გამო-
სარჩევი გახდა ვინ რას გაიმახოდა, რომელი იყო სწორი და
მართალი და ვინ კიდევ ნაპირალა და ცრუ და ოხერი და ისე კი
ბლომად გვერია და გვირევია გონით ბრმა, ხეიბარი და ყრუ:
„ერთბაშად ფრინველთ უწოდენ არწივსაცა და ძერასა:
არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბულბულის ტკბილად მღერასა,
ფარშევანგისა შვენებას, ბუკიოტისა ბღვერასა“ (დოჩანაშვილი,
2002, გვ. 105).

იჯდა უღირსი სიბზნელეში, კარგ ფიქრებს ლამობდა, და კიდევ
კარგი, დიდ მეომარ და პოეტ და მეფე თავადზეც ხშირად ფიქრობდა,
სადღეისოზე როგორ, რომელსაც, ნუ იტყვითა და ბედი არ ქონია
თურმე, როგორ არ ჰქონდა! – „დავითიანი“ დაწერა კაცმა, ვინც რომ სა-
ამისოდ სწორედ ბედმა გადაისროლა შორეულ უკრაინაში, რათა
იქიდან უკეთ ეგრძნო და მოენატრნა სასაღამებოქავ მოწყურებამდე
თავისი ჩვენი მხარე, მისი მამული, საქართველო, ეს: „*თქმულა სიბრ-
ძნესთან სიგიჟე, როგორც ცოცხალთან მკვდარია*“ (დოჩანაშვილი, 2002,
გვ. 105).

ნაწარმოებში მუდმივად მეორდება: არეულიყო საქართველო,
გათავისუფლებული.

მკითხველის თვალწინ იშლება მწერლისთვის დამახასიათებელი
ბრწყინვალე იუმორით დაწერილი 90-იანი წლების თბილისის შემ-
ზარავი ეპიზოდები: ელექტროენერგიის დეფიციტის გამო გაჩერებუ-
ლი და ჩაბნელებული მეტროს სადგურები, რომელშიც ადამიანებს
სული ეხუთებათ და დიდი გაჭირვებითა და წვალებით აღწევენ თავს,
პურის დაუსრულებელი რიგები, რუსთაველზე გაშლილი კარვები,
მხედრიონელი ბიჭები და მათი თავკაცები.

„შეიქმნა დაჯგუფებები, ანუ პარტიები, პარტიები ჭრელი,
ათასფერადი, თავკერძოთ დასტა, რადგან მაგრამ საქართველო
მეტად უცნაურად – ყოვლად უქართველებოდ უყვარდათ,
ერთმანეთს მტრობდნენ, ჭორს უყრიდნენ, საქმე განსივდა,
ჰაზრი შჭარბობდა, სამშობლოს ენით სიყვარულის დიდსროვი-
ლობა ატყდა ისეთი კანონადოური, მტრისას... ქალაქის ცენტ-

რში – ძმური კარავიც, დური კარვებიც იქავე იყო, და ღამდამობით ერთმანეთში მიმოდიოდნენ, სტუმარმასპინძლობდნენ, ერთიმეორეში მოძრაობები ჰქონდათ, ძალიანი, ფხიზლობდა ხალხი“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 101-102).

სულისშემძვრელ თხრობას უაღრესად ნათელი და ღამაში სურათები ენაცვლება მკითხველი ავტორთან ერთად ხან სერვანტესის მხატვრულ სამყაროში ხვდება, ხან ვერდისა და როსინის ცხოვრებისეული ეპიზოდებით ტკბება, ხანაც კი ტაძარში მოსასმენად მიმავალი ყმაწვილი ბახის მოგზაურობას შეიგრძნობს.

„...პატარა ქალაქიდან, დედაქალაქ ჰამბურგში ფეხით მიდიოდა, ჯერ კიდევ უფრო ბავშვი, ვიდრე ყმაწვილი, გზად კი მთელი ორმოცი კილომეტრი ედო, თუმცა რაა ორმოცი კილომეტრი აი იმისთვის, ვინც რომ სამყაროს შესასუნთქავად ბავშვობიდანვე ემზადებოდა, ხოლო ჰამბურგში ის უნდოდა, რათა კვირა-დილით, ეკლესიაში, გამოჩენილი მუსიკოსისათვის, მისი ორგანისათვის რომ მოესმინა, გზა კი, ბავშვისთვის და, საერთოდაც, გრძელი იყო, და შაბათობით, მოსაღამოვებულზე, პურით უბეში, წყარო გზად იყო, გაუყვებოდა სხვისთვის ბილიკს და, მისთვის კი მუსიკის შარას, და მიდიოდა, მიდიოდა ჩვეულ ბაც-შუქშიც, წკვარამშიც, და თან ათოვდაც, ელავდა, წვიმდაც, ჩავლილ სოფლებში ავი ძაღლები ძალიან ჰყეფდნენ, მაგრამ ყველაფერზე საშიში ალბათ მაინც ის სიო – უცეხი იყო, ტყედ რომ იცოდა, რადგან იმ გზაზე, ალაგ-ალაგ მოკლედ რომ სჭრიდა, ბავშვი სწორედ იმ გზაზედ მთლად ჯუნგლი არა მაგრამ არტყუ მეჩხერი ტყეც ედო ბნელში, და იქ შედიოდა, თვალებგაფართოებული, დაშინებული მაგრამ მუსიკისაკენ როგორ ჯიუტად მიმავალი ბავშვი, რა ძნელი იყო მარტოკასათვის, ღამდამობის ტყე, მაგრამ იმას იქ სულიწმინდა ეხმარებოდა, ის მზრუველობდა დედ-მამით ობოლს, და მაინც როგორი სიბნელიდან, სუნთქვაშეკრული, მუსიკისაკენ გადადიოდა.

იმ საკრავისკენ, ყველაზე მეტად რომ იცოდა სუნთქვა, ცარიელიდა სუნთქვა იყო, მისი ორგანიც, ოღონდ სრულიად სამყაროსი“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 208).

ასევე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე დიდი მანქანის, ვერდის, ტრაგიკული ცხოვრების ამსახველი ეპიზოდების ავტორისეული ხედვა: სამ წელიწადში ქალ-ვაჟისა და „თანამეუბედურის“ (მეუღლის) დამკარგავი ვერდი სუსხიან ზამთარში ქუჩაში სიმწრით გაყინული და მშვიერ-მწყურვალად დადიოდა.

„და ერთხელ ერთმა მოხუცმა ქალმა... – ლეგენდებო... ლეგენდები არ არსებობენ, რადგან თუკი ვინმეს რაიმე რამ გამონაგონი შეეფერება, ეს აღარაა ლეგენდა და მითი და გამონაგონი, ეს რაღაც გამძაფრებული სინამდვილეა, მხოლოდ და მხოლოდ დიდად ამაღლებული, და თურმე ერთხელ, მწარედ მიმავალს, ერთმა მოხუცებულმა წაბლის გამყიდველმა ქალმა, როგორც ტანჯულსახიან უნებურად მათხოვარს, მის საცოდაობას დადევნებულმა, დაეწია და ქუდი მოხადა და შემწვარი წაბლი ჯამით ჩაუყარა, ეს – ჯამი იყო სულიწინდასი, არ იყო მარტო. ცოლ-შვილის შემდეგ, თითები პირველად გაუთბა, წაბლით“ (დოჩანაშვილი, 2002, გვ. 116).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გურამ დოჩანაშვილის დამოკიდებულება მხატვრულ ენასთან. გასაოცარი სიტყვათქმნადობით მან სიტყვის სრულიად ახლებური შეგრძნება შემოიტანა.

რომანში გამოყენებულია პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი: ირონიზმის პრინციპი, როდესაც ირონიზირებულია არა მხოლოდ პერსონაჟის, არამედ ავტორის პოზიცია, ავტორის ორმაგი ნიღაბი, ესსეისტური ნაკადი, ლირიკული გადახვევები, თამაში სიტყვის პოლისემიით, მეტატექსტუალური კომენტარები. რიტმული პროზით ზოგჯერ პათეტიკური სტილის პაროდირებას ახდენს, ზოგჯერ ირონიული განწყობის შესაქმნელად იყენებს, მწერალი ხშირად მოულოდნელი ხერხით ამყარებს საოცრად უშუალო ურთიერთობას მკითხველთან, ესაუბრება მას, ეკამათება და უფრო მეტიც – ფიქრობს მთქმელთან (მელექსე ბიჭთან) ერთად.

როგორც ამ რომანის შესახებ გამოქვეყნებულ პირველ რეცენზიაში წერია, ავტორი

„ლიტერატურული ენისათვის დამახასიათებელ ყოველგვარ კანონს უარყოფს და სწორედ ამ გრამატიკულ დარღვევებზე, სინტაქსურ თუ აზრობრივ შეუსაბამობაზე აკეთებს აქცენტს, რათა კიდევ უფრო თვალნათლივ და აშკარად გამოიხატოს

ჩვენი ყოფის აბსურდულობა და დრამატიზმი. აქ ყველაფერი დანგრეული და დაშლილია: პერსონაჟთა მეტყველებაცა და ავტორის ტექსტიც, დანგრეულია ლოგიკური კონსტრუქციებიცა და მყარი სიტყვათა შეთანხმებებიც, ხშირად აბსურდული და, ერთი შეხედვით, გაუგებარია პერსონაჟთა ფრაზეოლოგია, რადგან ასეთია თავად ის სამყარო, რომელიც უღირსის ცნობიერებაში აირეკლა. ასეთია თავად სულიერად აფორიაქებული და გატანჯული კაცის ფსიქიკა“ (ჯამბურია, 2002, გვ. 9).

ამგვარად, გურამ დოჩანაშვილის რომანი „ლოდი, ნასაყდრალი“ თავისი ფორმით ქართული მწერლობის ყველაზე უფრო ავანგარდისტულ რომანად რომ შეიძლება ჩათვალოს მკითხველმა, სინამდვილეში, თავისი არსით, ქართული ტრადიციების გაგრძელებაა და სულიერად დეგრადირებული საზოგადოების საკუთარ ფესვებთან მიბრუნებას ისახავს მიზნად. რაც ისე აღიქმება, როგორც უღირსის ცდა, გაექცეს მიუღებელ, სულის შემხუთავ რეალობას და მშვენიერების მარადიულ საუფლოში იპოვოს სულიერი სიმშვიდე. და სულიერი ხსნა, სულიერი შვება ისევ ის არის, რაც იყო ყოველთვის: რწმენა, რომელიც ადამიანს ყოველივეს მოთმენის ძალასაც ანიჭებს და დაუშრეტელი სიყვარულის უნარსაც. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ტექსტში დავით გურამიშვილის სტროფების ციტირებაც და ფსალმუნთა გამოყენებაც, ეს სწორედ ის საშუალებაა, რითიც უახლოვდება ავტორი თავის სათქმელს – ჩვენ მხოლოდ სულიერება გადაგვარჩენს და ამიტომაც უნდა მივუბრუნდეთ მთავარ ტექსტს, წიგნთა წიგნს – ბიბლიას. მაგრამ ეს აზრი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არ არის გაცხადებული. ავტორი თითქოს თვლის, რომ მკითხველი მასთან ერთად უნდა იტანჯოს, მასთან ერთად უნდა გაიაროს ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი უბედურება, რომ მიაგნოს ერთადერთ, ურყევ და უცვლელ ჭეშმარიტებას.

დღეს, რომანის გამოქვეყნებიდან 20 წლის გასვლის შემდეგ, სავსებით ნათელია, რომ ეს წიგნი სწორედ იმ მხატვრულ რეალობას ეკუთვნის, რომელიც აქტუალობას დროის გასვლასთან ერთად არ კარგავს. პირიქით: რაც დრო გადის მით უფრო მნიშვნელოვანი და ფასეული ჩანს ჩვენთვის, თანამედროვე მკითხველისათვის დავით გურამიშვილის მსჯელობა ქართლის ჭირზე, ილიას დაუნდობელი ანალიზი ქართული ხასიათისა, მიხეილ ჯავახიშვილის მკაცრი მსჯელობა საქართველოს ბედზე ბოლშევიკურ ჯოჯოხეთში. სწორედ აქ, ამ სიბრ-

ტყეში, დგას მე-20 საუკუნის დასასრულის ზნეობრივი გადაგვარების ამსახველი და ამავე დროს გენიალური ნიჭისა და მტკიცე რწმენის თავისებური მონუმენტი – გურამ დოჩანაშვილის მორიგი შედეგრი, რომელიც, რაც დრო გავა, მით უფრო დაფასდება, რადგან ქართველ ერს ალბათ არასდროს დაავიწყდება, როგორ აუხსნა აპათიასა და დეპრესიაში ჩავარდნილ საზოგადოებას მრავალგზის ტანჯულმა, ტრაგიკული ბედის დიდმა მწერალმა, რომ უიმედობას არასდროს არ უნდა დანებდე, რადგან გამოსავალი ყოველთვის არსებობს და იგი ახლაც იქ არის, სადაც ყოველთვის იყო – ჭეშმარიტ რწმენასა და ხელოვნებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დოჩანაშვილი, გ. (2002). *ლოდი ნასაყდრალი*. თბილისი: „მარსი“.
- ჯამბურია, კ. (2002). *წიგნი, რომელიც ყველამ არ უნდა წაიკითხოს, ანუ გურამ დოჩანაშვილის „ლოდი, ნასაყდრალი“*. აღმანახი „ლიტერატურა და სხვა“, N 4, თბილისი.

References:

- Dochanashvili, G. (2002). *Lodi nasaq'drali*. [*Boulder on Which Once there was a Church*]. Tbilisi: „marsi“.
- Jamburia, K'. (2002). *Ts'igni, romelits q'velam ar unda ts'aik'itkhos, anu Guram Dochanashvilis: lodi, nasaq'drali* [A book that should not be read by everyone *“Stone of Former Temple“ Gouram Dochanashvili*]. Almakhi „lit'erst'ura da skhva“, 4, Tbilisi.